„დამტკიცებულია“
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2014 წლის „15 “ ოქტომბრის №62 სხდომის
№1 დადგენილებით

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ეთიკის კოდექსი

და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

პრეამბულა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კადრების მომზადების ტრადიციული კერაა. იგი ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ემსახურებოდეს სიმართლისა და ცოდნის ძიებას, რაც უნდა განხორციელდეს ჯანსაღი კამათის, განსჯისა და გახსნილი, ღია ურთიერთობის საფუძველზე. ეს მიზანი მიიღწევა:

სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების მაღალხარისხოვანი განხორციელებით თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში;

უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტურ კონტინგენტს შორის ობიექტური დამოკიდებულებით, მათი კეთილსინდისიერი საქმიანობითა და საკუთარი უფლება-მოვალეობების პირნათლად განხორციელებით;

საუნივერსიტეტო საზოგადოების ურთიერთ ანგარიშვალდებულებით, პასუხის-მგებლობითა და ტოლერანტობით.

უნივერსიტეტი ცნობს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს, პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების, საერთო და საუნივერსიტეტო საზოგადოებრიობის წინაშე და უზრუნველყოფს საკუთარი პერსონალის წარმომადგენლებისა და სტუდენტების ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და განვითარებას.

ეთიკის კოდექსის მიზანია:

- ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში დისციპლინის დამკვიდრებას;
- განსაზღვროს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა მისაღები ქცევის წესები უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად;
- უნივერისიტეტში პოზიტიური და სწავლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის ხელშემწყობი კლიმატის შექმნა.

უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (შემდგომში „კოდექსი"), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების ეფექტურად განხორციელებას, საზოგადოების წინაშე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებასა და პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას.

კოდექსი შემუშავებულია უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების და აზრთა გაცვლის საფუძველზე.

თავი I
კოდექსის მოქმედების ფარგლები და დანიშნულება

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების ფარგლები

კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალზე, მოწვეულ სპეციალისტზე ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირზე (შემდგომში „პერსონალი") და უნივერსიტეტის სტუდენტებზე.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 10 აგვისტოს #31 სხდომის #6 დადგენილება)

მუხლი 2. კოდექსის დანიშნულება

კოდექსი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის პრინციპების, ქცევის წესებისა და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტების (ნორმების) ჩამოყალიბებას.

თავი II
პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის პრინციპები, ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები

მუხლი 3. პერსონალი

1. პერსონალი ემსახურება რა უნივერსიტეტის დანიშნულების, მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად განხორციელებას, ვალდებულია თავის პროფესიულ/თანამდებობრივ საქმიანობაში დაიცვას შემდეგი პრინციპები და სტანდარტები:

ა) სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს, პატივი სცეს მათ პროფესიულ/თანამდებობრივ და სხვა საქმიანობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა და შრომის შედეგები;

ბ) არ დაუშვას უხეში და მიუღებელი კრიტიკა; კოლეგისა და სტუდენტის კრიტიკა უნდა იყოს მხოლოდ კონსტრუქციული; დაუშვებელია კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება;

გ) ერთი და იმავე სახის პერსონალის წარმომადგენლებმა შესაბამისი თანამდებობრივი საქმიანობის ფარგლებში თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილონ უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროფესიული მოვალეობები, აქტიური დახმარება გაუწიონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთს საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში;

დ) პერსონალსა და სტუდენტებს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. რომელიმე მხრიდან დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია, მათ შორის: აკადემიური, რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ე) პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი ანგარების მიზნით, არ უნდა მოითხოვონ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც მათ კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

ვ) პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას; ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას;

ზ) პერსონალის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა თავი უნდა შეიკავონ უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი საუნივერსიტეტო მოვალეობების ჯეროვან განხორციელებას.

2. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი ძალაა. ამ პერსონალის წარმომადგენლები ვალდებული არიან სისტემატურად იღწვოდნენ აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ეკისრებათ მოვალეობა მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მუხლი 4. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები (პროფესორები, მასწავლებლები)

1. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენლების, ასევე მოწვეული სპეციალისტების (პროფესორები, მასწავლებლები) ძირითადი მოვალეობაა აღზარდონ და ჩამოაყალიბონ მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტები. ამ მიზნით მათ:

ა) სასწავლო პროცესი უნდა წარმართონ უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

ბ) დარგის ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და პროგრესის კვალდაკვალ, პერიოდულად უნდა განაახლონ სასწავლო კურსის თემატიკა და სტრუქტურა, სრულყონ მისი წარმართვის მეთოდიკა;

გ) გაუწიონ სტუდენტებს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა, რისთვისაც ოფიციალურად გამოყონ დამატებითი საკონსულტაციო საათები.

2. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელთა, ასევე მოწვეული სპეციალისტების (პროფესორები, მასწავლებლები) საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ეთიკურ ნორმებს, დისციპლინასა და სამართლიანობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს არამარტო შრომისმოყვარე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, არამედ ქვეყნის პატრიოტი, პატიოსანი, თავისუფალი და კანონმორჩილი მოქალაქეების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით ისინი:

ა) ლექციაზე/მეცადინეობაზე უნდა შევიდნენ დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ უნდა დაუშვან ლექციის/მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან/და გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. დანიშნულ დროს, სათანდო ნორმატიული აქტების შესაბამისად, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასონ ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა;

ბ) უნდა ქმნიდნენ ყველა საჭირო პირობას პატიოსანი და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებისათვის; შეიმუშავებდნენ და ნერგავდნენ სწავლების და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს; ხელს უნდა უწყობდნენ მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, რათა ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით გამოირიცხოს სხვადასხვა არასასურველი (არააკადემიური სახის) პრობლემების წარმოშობა;

გ) სტუდენტებს უნდა აწვდიდნენ ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ; უნდა გამორიცხონ შეფასებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ფავორიტიზმი, პროტექციონიზმი, რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური თუ პოლიტიკური კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.; არ დაუშვან ამგვარი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

დ) არ უნდა დაუშვან სტუდენტის ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის შესაძლებლობათა გამოყენება ანგარების მიზნით, ან კოლეგებთან უთანხმოების ინსტრუმენტად.

ე) არ უნდა დაუშვან ისეთი ქმედება, რაც გამოიწვევს ან ხელს შეუწყობს რაიმე სახის დაპირისპირებას/უთანხმოებას უნივერსიტეტის პერსონალში, სტუდენტებს ან სტუდენტებსა და უნივერსიტეტის პერსონალს შორის.

მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალი

1. სამეცნიერო პერსონალის მოვალეობაა კვლევისა და ინოვაციების საშუალებით შექმნას ბაზა, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს. ამ მიზნით ის:

ა) მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;

ბ) არ დაუშვას კვლევის შედეგების გაყალბება, პლაგიატი, სხვა მეცნიერის კვლევების შედეგების არაკანონიერი გამოყენება, არ უნდა დაარღვიოს სხვისი უფლებები (მათ შორის: საავტორო) ინტელექტუალურ საკუთრებაზე;

გ) უნდა შექმნას სამეცნიერო კვლევების ჩატარების ისეთი პირობები, რომლითაც კოლეგებსა

და სტუდენტებს ხელი არ შეეშლებათ სწავლისა და კვლევის პროცესში, არ მიადგება ზიანი მათ ჯანმრთელობას;

დ) უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები და მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის #29 სხდომის #4 დადგენილება)

მუხლი 6. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო.

2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წევრები პატივს უნდა სცემდნენ უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს. კოლეგებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრონ სამართლიანად და პატივისცემით. მათ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას. ამ მიზნით ისინი:

ა) უნდა ემორჩილებოდნენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;

ბ) არ უნდა მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ისეთ კომერციულ საქმიანობაში, საიდანაც მათ ან მათი ოჯახის წევრს პირადი სარგებელი გააჩნია, რაც კლასიფიცირდება როგორც ინტერესთა კონფლიქტი და რომელიც თავიდანვე უნდა აღიკვეთოს;

გ) უფლება არა აქვთ მიიღონ საჩუქარი, თანხა ან/და რაიმე უკანონო სარგებელი უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან, სტუდენტებისაგან, უნივერსიტეტის ბიზნეს-პარტნიორებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირებისაგან;

დ) უნივერსიტეტის საჭიროებისათვის ეფექტიანად უნდა გამოიყენონ უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;

ე) არ უნდა გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობაში.

მუხლი 7. სტუდენტი („სტუდენტის ეთიკის კოდექსი")

1. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტს, სადაც ის ცოდნას ეუფლება. ისწავლოს, მონაწილეობა მიიღოს ჩატარებულ კვლევებში, დაიცვას სტუდენტის ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლებას.

2. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს ყველა სახის პერსონალის წარმომადგენლებს. პრობლემების/კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაჭრა უნდა მოხდეს

უნივერსიტეტის წესდების, სხვა სამართლებრივი აქტებისა და ამ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

3. სტუდენტს უფლება არა აქვს შეურაცხყოფა მიაყენოს უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებს, სხვა სტუდენტს ან მიმართოს ძალადობას მათ მიმართ, პირადი სარგებლის სანაცვლოდ სხვა სტუდენტებს, პერსონალის წარმომადგენლებს შესთავაზოს/მოსთხოვოს რაიმე სახის სარგებელი.

4. სტუდენტს უფლება არ აქვს ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე. კერძოდ:

ა) გადაიწეროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოიყენოს სხვა სახის დამხმარე მასალა, რომელიც პროფესორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;

ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა ან სთხოვოს სხვა პირს მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება;

გ) მოიპოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამოცდის შესახებ;

დ) სხვა პირის ნამუშევარი წარმოაჩინოს როგორც საკუთარი;

ე) შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე მოახდინოს სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;

ვ) გააყალბოს თავისი საუნივერსიტეტო (პერსონალური, აკადემიური) მონაცემები;

ზ) მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს, გაანადგუროს ან შეცვალოს სხვა სტუდენტის ნამუშევარი;

თ) ხელი შეუშალოს სხვა სტუდენტებს სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მართლსაწინააღმდეგო დაეუფლებით ან განადგურებით;

ი) ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში;

კ) გამოიყენოს ან გააყალბოს კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაცია;

ლ) გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია;

მ) გააყალბოს სხვისი ხელმოწერა ან/და სხვა რაიმე დოკუმენტი.

5. აკადემიური სიყალბის შემჩნევის/დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

6. სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და მისი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა წესები (მათ შორის ამ კოდექსით დადგენილი).

მუხლი 8. უნივერსიტეტი და პერსონალი/სტუდენტი

1. უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას (აკადემიური პერსონალის უფლება ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება. საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების

მეთოდები და საშუალებები), რომლის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს. ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

გ) ხელს უწყობს პერსონალისა და სტუდენტის სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

დ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;

ე) მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;

ვ) უზრუნველყოფს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას. ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების შეუფერხებელ განხორციელებას.

2. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები;

გ) დაიცვას ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

დ) შეასრულოს უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

ე) შეასრულოს შრომითი/საგანმანათლებლო ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

ვ) გაუფრთხილდეს და დანიშნულებისამებრ და ეფექტურად გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები საუნივერსიტეტო საქმიანობის ჯეროვნად განხორციელების მიზნით;

ზ) დროულად აცნობოს უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ადმინისტრაციას მისი დატოვების შესახებ.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა) შეუფერხებლად განახორციელოს საკუთარი წესდების, შინაგანაწესის, ამ კოდექსისა და ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი;

ბ) ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სათანადო უფლების მქონე დაწესებულების/სამსახურის მონაწილეობით, განახორციელოს პერსონალისა და სტუდენტების ნარკოლოგიური შემოწმება;

გ) მოთხოვოს პერსონალის ნებისმიერ წარმომადგენელს/წარმომადგენლებს ან/და სტუდენტს/სტუდენტებს ცნობის წარმოდგენა ნარკოლოგიური/ფსიქო-ნევროლოგიური შემოწმების ან/და სათანადო აღრიცხვაზე ყოფნის შესახებ, ან თავად გამოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულებებიდან, რომლებიც ახორციელებენ შესაბამის კონტროლსა და აღრიცხვას;

დ) მოთხოვოს პერსონალსა და სტუდენტს ცნობის წარმოდგენა ნასამართლობის შესახებ;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის ან სტუდენტის ნასამართლობისა ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი

უფლებამოსილია საქმე შესწავლისა და სათანადო რეაგირებისათვის გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ეთიკის კომისიას, სტუდენტის შემთხვევაში - ფაკულტეტის საბჭოს.

თავი III
დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

მუხლი 9. დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის ნორმების მიზანი

დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

მუხლი 10. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

1. პერსონალსა და სტუდენტს დისციპლინური დარღვევის ჩადენისთვის ეკისრება დისციპლინური სახდელი.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:

ა) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა/დარღვევა;

გ) ამ კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა;

დ) ნებისმიერი ქმედება/უმოქმედობა, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ წარმოადგენს ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევას, მაგრამ ლახავს უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას.

მუხლი 11. დისციპლინური სახდელის სახეები

1. აკადემიური, სამეცნიერო და მასწავლებელთა პერსონალის, მოწვეული სპეციალისტის, ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირისთვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

დ) მკაცრი საყვედური;

ე) სამსახურიდან დათხოვნა;

ვ) ემერიტუსის აკადემიური წოდების ჩამორთმევა.

2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) მკაცრი საყვედური;
დ) დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა (3-დან 6 თვემდე ვადით);
ე) სამსახურიდან დათხოვნა.
3. სტუდენტისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:
ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) მკაცრი საყვედური;
დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
4. შენიშვნა პერსონალს/სტუდენტს მიეცემა უმნიშვნელო დისციპლინური გადაცდომისათვის უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, დისციპლინური წარმოების გარეშე.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის #29 სხდომის #4 დადგენილება)
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 10 აგვისტოს #31 სხდომის #6 დადგენილება)

მუხლი 12. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი

1. უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსის შესრულება და დისციპლინის მონიტორინგი ხორციელდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოების (შემდგომში „დისციპლინური ორგანო") და შინაგანაწესის შესაბამისად, უნივერსიტეტის სათანადო უფლებამოსილების მქონე სტრუქტურული ერთეულების მიერ.
2. ფაკულტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის, მოწვეული სპეციალისტის, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ასევე, ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ეთიკის კომისია, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინააღმდეგ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად შექმნილი ორგანო, სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის (გარდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პერსონალისა), წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ეთიკის კომისია, ხოლო სტუდენტის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
3. ფაკულტეტის ეთიკის კომისიას ქმნის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, ადმინისტრაციის ეთიკის კომისიას ქმნის უნივერსიტეტის რექტორი. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ეთიკის კომისია იქმნება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად.

4. დისციპლინურ ორგანოს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) მიიღოს და შეისწავლოს შემოსული ინფორმაცია (განცხადება/საჩივარი);

ბ) შეამოწმოს დისციპლინური წარმოების დაწყებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები;

გ) განსაზღვროს, უნდა დაიწყოს თუ არა დისციპლინური წარმოება. ამისათვის დისციპლინურმა ორგანომ უნდა ჩამოართვას ახსნა-განარტებები საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი. დისციპლინურ ორგანოს შეუძლია გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა. მან უნდა გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტები. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, ის გახდება დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი;

დ) დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მომჩივანს დაუბრუნოს საჩივარი და შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ;

ე) განახორციელოს დისციპლინური წარმოება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ვ) დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან დეკანს.

ზ) აირჩიოს დისციპლინური ორგანოს მდივანი;

თ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის #29 სხდომის #4 დადგენილება)

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 10 აგვისტოს #31 სხდომის #6 დადგენილება)

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების კონფიდენციალობა

1. დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია. დისციპლინური ორგანოს წევრები, ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური წარმოების დროს, ამ კოდექსით დადგენილი შემთხვევების გარდა.

2. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებები საჯაროა.

3. უნივერსიტეტთან/ფაკულტეტებზე უნდა შეიქმნას სპეციალური ელექტრონული ბანკი, სადაც დაფიქსირდება ყველა დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

მუხლი 14. დისციპლინური წარმოების ვადები

1. პერსონალს/სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 2 (ორი) წელი, ხოლო დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 3 (სამი) თვე.

2. დისციპლინური ორგანოს მიერ საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვიტის ვადაა განცხადების/საჩივრის მიღებიდან 5 (ხუთი) დღე, ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისა კი - დისციპლინური წარმოების აღძვრიდან - 1 (ერთი) თვე.

3. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმის განხილვა შეჩერებულია, არ ჩაითვლება ამ კოდექსით დადგენილ დისციპლინური წარმოების საერთო ვადაში.

4. ამ კოდექსით დადგენილი ყველა ვადა გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით). სიტყვები – „მოცემული დღიდან N დღეში", „მოცემული დღიდან N დღის ვადაში", „მოცემული დღიდან არა უადრეს/არა უგვიანეს N დღისა", „მოცემული დღიდან არა უადრეს/არა უგვიანეს მე-N დღისა" – გულისხმობს დღეთა ათვლას მითითებული დღის მომდევნო დღიდან.

მუხლი 15. დისციპლინური წარმოების დაწყება

1. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დეკანის, ფაკულტეტის საბჭოს, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის, ამავე ერთეულის სამეცნიერო საბჭოს, სტუდენტური თვითმმართველობის, დისციპლინური ორგანოს, უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის, პერსონალის, სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის განცხადების/საჩივრის ან შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პერსონალის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.

2. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) მოტივირებული განცხადება/საჩივარი, რომელიც იწერება დისციპლინური ორგანოს თავმჯდომარის სახელზე და რომელშიც მითითებული უნდა იყოს საჩივრის ავტორის სახელი, გვარი (თუკი იურიდიული პირია – სახელწოდება, წარმომადგენლის სახელი, გვარი და იურიდიული მისამართი), იმ პირის სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ვის წინააღმდეგაც არის განცხადება/საჩივარი წარდგენილი, აგრეთვე, დარღვევის ჩადენის დრო, დარღვევის სახე, ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და მოთხოვნა;

ბ) პირის მიერ უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ამ კოდექსის ან/და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტის ნორმების დარღვევა;

გ) პირის მიერ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით გათვალისწინებული ან ისეთი არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, რაც

ლახავს უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივსა და ღირსებას, რეპუტაციას და იწვევს საზოგადოების თვალში მათ დისკრედიტაციას;

დ) შრომითი/საგანმანათლებლო ხელშეკრულების დარღვევა;

ე) სიყალბის გამოვლენა იმ ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციაში, რის საფუძველზეც მოხდა პირის მიერ თანამდებობის დაკავება ან სტუდენტის სტატუსის მიპოვება;

ვ) უტყუარი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, რომ პერსონალის წარმომადგენელი ან სტუდენტი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ან ალკოჰოლიზმით დაავადებული პირია;

ზ) უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პერსონალის წარმომადგენელი ნასამართლევია და არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა.

3. დისციპლინური ორგანო შეისწავლის განცხადება/საჩივარს და გადაწყვეტს მისი დასაშვებობის საკითხს. თუკი განცხადება/საჩივარი არ შეიცავს დისციპლინური დარღვევის ნიშნებს, შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, შემოტანილია პირის მიმართ, რომელიც ამჟამად არ არის პერსონალის წარმომადგენელი ან სტუდენტი, ან განცხადება/საჩივარი დაუშვებელია სხვა მიზეზების გამო, დისციპლინური ორგანო გამოიტანს მოტივირებულ გადაწყვეტილებას განცხადება/საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

4. არ უნდა დაიწყოს დისციპლინური წარმოება ან დაწყებული დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს, თუ:

ა) განცხადება/საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს;

ბ) საჩივარი ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს;

გ) ვადები დისციპლინური წარმოების ან დისციპლინური სახდელის დაწესებისათვის ამოიწურა;

დ) მოკვლეული მასალები არ იძლევა საფუძველს დისციპლინური წარმოების დაწყებისათვის;

ე) შემოწმებული მასალა ცხადჰყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული;

ვ) განცხადება/საჩივარი შემოსულია იმ პირზე, რომელიც ამჟამად არ არის უნივერსიტეტის პერსონალი ან სტუდენტი.

5. თუ საჩივრის ან შეტყობინების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური ორგანო უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური წარმოება.

6. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დისციპლინური ორგანო საჩივარს ან განცხადებას უბრუნებს მომჩივანს და დაურთავს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის #29 სხდომის #4 დადგენილება)

მუხლი 16. დისციპლინური წარმოების შეჩერება და განახლება

1. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია, თუ:

ა) განცხადების/საჩივრის შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადჰყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე შემდგომი განხილვისათვის უნდა გადაეცეს სათანადო კომპეტენციის ორგანოს;

ბ) განცხადების/საჩივრის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები ან დაბრკოლებები (პირის ავადმყოფობა ან სხვა შემთხვევები), რაც შეუძლებელს ხდის საქმის წარმოების გაგრძელებას.

2. დისციპლინური წარმოების შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის მომენტიდან დისციპლინური წარმოება განახლდება.

3. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია არა უმეტეს 2 (ორი) თვისა.

მუხლი 17. განცხადების/საჩივრის განხილვის წესები

1. საჩივრის/განცხადების მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, დისციპლინურმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის დადების ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. დისციპლინურმა ორგანომ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.

3. დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოებისას მოპოვებული ინფორმაცია - კონფიდენციალური.

4. დისციპლინური ორგანოს სხდომებს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე ან მისი რომელიმე წევრი, რომელიც აირჩევა დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.

5. საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მოანაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა ორგანომ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა შეატყობინონ სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი.

6. დისციპლინური ორგანო ვალდებულია მოისმინოს იმ პირის ახსნა-განმარტება, ვის წინააღმდეგაც წარდგენილია განცხადება/საჩივარი, რომელსაც უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს უფლება აქვთ სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე ახსნა-განმარტების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების გამოცხადება და საკითხის განხილვისათვის საჭირო სხვა მოქმედებების განხორციელება.

7. დისციპლინურ ორგანოს უფლება აქვს, მოისმინოს მხარეთა და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირების ახსნა-განმარტებები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განახორციელოს სხვა ქმედებები.

8. დისციპლინური ორგანოს სხდომაზე სხდომის მდივანი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
9. პირის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური ორგანო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. შესაბამის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 18. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში

1. დისციპლინურმა ორგანომ შეიძლება მოითხოვოს იმ პირის განხილვის სხდომაზე დასწრება, ვის წინააღმდეგაც წარდგენილია განცხადება/საჩივარი.
2. თუ პირი არ ცხადდება განხილვის სხდომებზე, სხდომა უნდა გადაიდოს 10 დღით. თუ პირი მეორედ არ ცხადდება დანიშნულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით, დისციპლინური ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე მისი დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე.
3. თუ პირი განხილვის სხდომაზე ვერ ცხადდება მძიმე ავადმყოფობის გამო ან/და სხვა საპატიო მიზეზის გამო, დისციპლინურმა ორგანომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა ამ კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად.
4. დისციპლინური წარმოების შეჩერების მიზეზის ამოწურვის შემდეგ, დისციპლინური ორგანო განაახლებს საქმის განხილვას. საქმის განხილვის განახლების შემდეგ დამრღვევის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 19. დისციპლინური დევნის წარმოება სტუდენტის მიმართ

1. სტუდენტის, ისევე როგორც პერსონალის მიმართ, დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით.
2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ იგი საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის ქონებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას.
3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
დ) მონაწილეობა მიიღოს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
ე) მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
4. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს განცხადების/საჩივრის წარმდგენ მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს ფაკულტეტის საბჭომ.
5. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 20. გადაწყვეტილების სახეები

1. დისციპლინურმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიდინა თუ არა პირმა დისციპლინური დარღვევა და დადასტურების შემთხვევაში, დააკისროს შესაბამისი სახდელი.
2. დისციპლინურ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:
ა) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ:
ა.ა) პირს არ დაუმტკიცდა დისციპლინური დარღვევის ჩადენა;
ა.ბ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა ამოიწურა;
ა.გ) თუ პირს შრომითი ხელშეკრულება უნივერსიტეტთან ან სტუდენტის სტატუსი შეუწყდა გადაწყვეტილების გამოტანამდე;
ა.დ) ამ კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
ბ) პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ, თუ მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენა დადასტურდა.

მუხლი 21. დისციპლინური სახდელის დადება

1. დისციპლინური სახდელის დადებისას დისციპლინური ორგანო ვალდებულია გაითვალიწინოს დარღვევის სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი. ასევე დარღვევის განმეორებითი ხასიათი. პირის პასუხისმგებლობა იზრდება დისციპლინური გადაცდომის სიმძიმისა და ხარისხის პროპორციულად ან ნორმების განმეორებითი დარღვევისას. თუ დადასტურდა პირის მიერ დისციპლინური დარღვევა და მას ადრე დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, დისციპლინურ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ.
2. დაუშვებელია რამდენიმე სახდელის დაკისრება დარღვევისათვის, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება.

3. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ აუცილებლად უნდა იყოს დოკუმენტურად დასაბუთებული.

მუხლი 22. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შინაარსი

დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

ა) დისციპლინური ორგანოს დასახელებას;

ბ) დისციპლინური ორგანოს შემადგენლობას;

გ) საქმის განხილვის თარიღს;

დ) დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარს და თანამდებობას;

ე) დისციპლინური წარმოების დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;

ვ) დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ გარემოებებს;

ზ) დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;

თ) გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;

ი) დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;

კ) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, განცხადება/საჩივრის დასაშვებობის უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

მუხლი 23. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ

1. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება დისციპლინურ დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

2. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს.

მუხლი 24. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. დისციპლინური დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

2. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება უქმდება.

მუხლი 25. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულება

1. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულება სავალდებულოა და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და შესაბამის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ხოლო სტუდენტის შემთხვევაში კი – შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

2. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე, ან გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.

3. უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია აღასრულოს გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. აკადემიური/მასწავლებელთა და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირის მიმართ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება, შესაბამისად, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. ემერიტუსის აკადემიური წოდების ჩამორთმევის შემთხვევაში, პირს უწყდება წოდებისათვის დანიშნული სარგოს გაცემა.

5. სამეცნიერო და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულის პერსონალის მიმართ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით.

6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულება ხდება ფაკულტეტის დეკანის მიერ, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, - ამ უკანასკნელის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 10 აგვისტოს #31 სხდომის #6 დადგენილება)

მუხლი 26. სახდელის მოქმედების ვადები

1. სახდელები: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური და დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად.

2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას, შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) თვის შემდეგ, საყვედური - 6 (ექვსი) თვის შემდეგ, 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება 9 (ცხრა) თვის შემდეგ, მკაცრი საყვედური - 1 (ერთი) წლის შემდეგ, ხოლო დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა ძალას კარგავს ამ სახდელის მოქმედების ვადის გასვლიდან 1 (ერთი) წლის გასვლის შემდეგ.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის #29 სხდომის #4 დადგენილება)

თავი IV
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. ეს კოდექსი ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებისთანავე.

2. ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებული დისციპლინური წარმოებისას გამოიყენება დისციპლინური წარმოების დაწყების დროს მოქმედი ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.